# ხელშეკრულება №12

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
გადაუდებელი აუცილებლობა SMP210000340

ქ. თბილისი                                                                 15 თებერვალი 2021 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ თბილისის N198 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის თეონა ყაჭეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ბაკო", (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ივანე ნოზაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_10 პრიმა მუხლის მე-3 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში კვების პროდუქტების შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.1.1. ბურღულეული, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და თხილეული (CPV:03200000) თანხით - 728,10 ლარი;

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება**

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს **728,10** (შვიდასოცდარვა ლარი 10 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

**მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება**

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

**მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა**

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს შემსყიდველის მოთხოვნილ მისამართზე (ქ. თბილისი, ჟიული შარტავას N20). 2021 წლის 15 თებერვლიდან 15 მარტამდე მოთხოვნის შესაბამისად.

**მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

**მუხლი 6. პირგასამტეხლო**

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

**მუხლი 7. ფორსმაჟორი**

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

**მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი**

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

**მუხლი 10. შეტყობინება**

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

**მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა**

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

**მუხლი 12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

12.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ ქალაქ თბილისის N198 საჯარო სკოლის დირექტორი თეონა ყაჭეიშვილი.

12.2. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის და რაოდენობის ინსპექტირება.

**მუხლი 13. ხელშეკრულების ენა**

13.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

**მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

14.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე, 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

**მუხლი 15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**

| | |
|---|---|
| **შემსყიდველი:** | **მიმწოდებელი:** |
| სსიპ - ქალაქ თბილისის №198 საჯარო სკოლა | შპს „ზაკო“ |
| ს/კ 202887778 | ს/კ 405108306 |
| მის: ქ. თბილისი, შარტავას N20 | მის.: ქ. თბილისი, ნუცუბიძის 4 მ/რ, კ-8, ბ-44 |
| ტელ: 2380465 | ტელ.: |
| საბანკო რეკვიზიტები: | საბანკო რეკვიზიტები: |
| ს/ს ,,თიბისი ბანკი“ | ს/ს ,,თიბისი ბანკი“ |
| ბანკის კოდი TBCBGE22 | ბანკის კოდი TBCBGE22 |
| ა/ა GE91TB1100000333609106 | ა/ა GE71TB7405036080100003 |
| **დირექტორი თეონა ყაჭეიშვილი** | **დირექტორი ივანე ნოზაძე** |
| ---------------------------------------- | ---------------------------------------- |
| (ხელმოწერა) ბ.ა | (ხელმოწერა) ბ.ა |

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია:

| CPV კოდი | დასახელება | რაოდენობა | ერთეულის ფასი | საერთო |
|---|---|---|---|---|
| 03221300, | მწვანილი სხვადასხვა | 11 | 4.00 | 44.00 |
| 03211900, | წიწიბურა | 29 | 3.50 | 101.50 |
| 03212100, | კარტოფილი | 84 | 1.00 | 84.00 |
| 03221410, | კომბოსტო | 51 | 0.60 | 30.60 |
| 03221112, | სტაფილო | 28 | 1.00 | 28.00 |
| 03221111, | ჭარხალი | 14 | 1.00 | 14.00 |
| 03221430, | ბროკოლი | 16 | 4.00 | 64.00 |
| 03211300, | ბრინჯი | 24 | 2.50 | 60.00 |
| 03211600, | შვრია (ჰერკულესი) | 20 | 3.00 | 60.00 |
| 03212213, | ბარდა ხმელი | 4 | 2.00 | 8.00 |
| 03221213, | ლობიო | 8 | 5.00 | 40.00 |
| 03221113, | ხახვი | 25 | 1.20 | 30.00 |
| 03221110, | ნიორი | 1.2 | 5.00 | 6.00 |
| 03221230, | ბულგარული წიწაკა | 6 | 5.00 | 30.00 |
| 03222210, | ლიმონი | 3 | 4.00 | 12.00 |
| 03222321, | ვაშლი | 25 | 2.00 | 50.00 |
| 03222000, | ხილი სეზონური | 22 | 3.00 | 66.00 |
| | სულ ღირებულება: | | | 728,10 |

| პროდუქტის დასახელება | ტექნიკური მახასიათებელი |
| --- | --- |
| | |
| მწვანილი სხვადასხვა | მწვანე შეფერილობის ფოთლებით(გარდა რეჰანისა), სალი, მშრალი, სუფთა, ფესვების გარეშე, კონკრეტული ჯიშისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური სურნელებით არ უნდა იყოს გაყვითლებული, გაყვავილებული, დამპალი, მექანიკური დაზიანებების მქონე; უნდა იყოს მიწის შემცველობის გარეშე; უნდა გააჩნდეს მოკლე, წვრილი ღერო, ქვედა განშტოებიდან არა უმეტეს 10 სმ; დაფასოებული უნდა იყოს პლასტმასის ან ქაღალდის ჰაერგამტარ ყუთებში (შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად). |
| წიწიბურა | დარჩეული, სუფთა; ფერი - ღია ყავისფერი, ღია ჩალისფერი; მინარევებისა და უცხოსხეულების გარეშე; ობისა და სინესტის/სისველის გარეშე; პროდუქტისთვის დამახასიათებელი სასიამოვნო სუნის მქონე, არ უნდა დაჰკრავდეს მძაფრი, მჟავე ობის, ლპობის სუნი ან გემო; ვარგისიანობის ვადის მითითებით დაფასოება მოთხოვნის შესაბამისად |
| კარტოფილი | კარტოფილის ტუბერი (ბოლქვი) უნდა იყოს სალი, სუფთა, მშრალი, მკვრივი, ლვის გარეშე; არ უნდა იყოს ჭიანი, დამპალი (არც გარედან და არც - გულით), მექანიკური დაზიანებების მქონე (გაჭრილი, დაჟეჟილი და სხვა); არ უნდა იყოს მოყინული და მომწვანოშეფერილობის;მიწის შემცველობა არ უნდა იყოს საერთო წონის 1%-ზე მეტი; არ უნდა იყოს ტკბილი ჯიშის (ბატატი);შეფუთვა მთლიანობის დარღვევის გარეშე, დაფასოება 20-50 კგ-მდე (±0.4%) ბადე-ტომრებში (შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად). |
| კომბოსტო | სალი, სუფთა, მშრალი, მკვრივი, თხელვანიანი, შავი წერტილების გარეშე, კარგადშეკრული თავები, მრგვალი ან ოვალური ფორმის, ღეროები დაჭრილი; არ უნდა იყოს ჭიანი, დამპალი (არც გარედან და არც - გულით), მექანიკური დაზიანებების მქონე (გაჭრილი, დაჟეჟილი და სხვა); შეფუთვა მთლიანობის დარღვევის გარეშე, დაფასოება 20-50 კგ-მდე (±0.4%) ბადე-ტომრებში (შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად). |
| სტაფილო | სუნი, ფერი და გემოუნდა იყოს დამახასიათებელი აღნიშნული პროდუქტისათვის; არ უნდა იყოს ჭიანი, დამპალი (არც გარედან და არც - გულით), მექანიკური დაზიანებების მქონე (გაჭრილი, დაჟეჟილი და სხვა); არ უნდა იყოს მოყინული; პროდუქტი დაფასოებული უნდა იყოს ტომრებში ან/და ჰაერგამტარპარკში. |
| ჭარხალი | სალი, სუფთა, მშრალი, მკვრივი, ნაკლებძარღვიანი, მრგვალი ან მოგრძოფორმის, მუქი წითელი შეფერილობის გულით სიცარიელისა და ლაქების გარეშე; არ უნდა იყოს ჭიანი, დამპალი (არც გარედან და არც - გულით), მექანიკური დაზიანებების მქონე (გაჭრილი, დაჟეჟილი და სხვა); არ უნდა იყოს მოყინული; პროდუქტი დაფასოებული უნდა იყოს ბადე–ტომრებში, ჰაერგამტარპარკში ან ყუთებში. |
| ბროკოლი | მაღალი ხარისხის, მწვანე შეფერილობის, საშუალოზომის, სალი, მშრალი, დაზიანების გარეშე, მკვრივი კონსისტენციის, სუფთა, მოყინვისა და შავი წერტილების გარეშე. |
| ბრინჯი | გრძელი ან მრგვალი ფორმის (მოთხოვნის შესაბამისად); ორთქლში დამუშავებული; მინარევებისა და უცხოსხეულების გარეშე; მავნებლების მიერმიყენებული დაზიანებების გარეშე; ობისა და სინესტის/სისველის გარეშე; სასიამოვნო, პროდუქტისთვის დამახასიათებელი სუნის მქონე, არ უნდა დაჰკრავდეს მძაფრი, მჟავე ობის, ლპობის სუნი ან გემო; მიწოდებული საქონლის დარჩენილი ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს საერთოვადის არანაკლებ 50%, მაგრამ არანაკლებ 4 თვე. ეტიკეტი უნდა იყოს ნაბეჭდი ტომარაზე ან/და ჩაკერებული ძაფით |
| შვრია (ჰერკულესი) | მწარმოებელი ქვეყნის კანონმდებლობითგანსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისადუმაღლესი ხარისხის. ფერი შვრიის ფანტელისთვის დამახასიათებელი; მშრალი, ობის და სინესტის/სისველის გარეშე; სუნი - მსუბუქი, სასიამოვნო, პროდუქტისთვის დამახასიათებელი, არ უნდა დაჰკრავდეს მძაფრი, მჟავე ობის, ლპობის სუნი ან გემო; უნდა იყოს სუფთა, მინარევებისა და უცხოსხეულების გარეშე; მიწოდებული საქონლის დარჩენილი ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს საერთოვადის არანაკლებ 50%, მაგრამ არანაკლებ 4 თვე. |
| ბარდა ხმელი | დარჩეული, სუფთა; ფერი - ღია ყავისფერი, ღია ჩალისფერი; მინარევებისა და უცხოსხეულების გარეშე; ობისა და სინესტის/სისველის გარეშე; პროდუქტისთვის დამახასიათებელი სასიამოვნო სუნის მქონე, არ უნდა დაჰკრავდეს მძაფრი, მჟავე ობის, ლპობის სუნი ან გემო; ვარგისიანობის ვადის მითითებით |

| | |
|---|---|
| ლობიო | თითოეული მოწითებული პარკა ახალი, დარჩეული, (არ უნდა იყოს დამსხვრეული და არ უნდა შეიცავდეს უცხო მინარევებს), ფორმა მრგვალი ან მოგრძო ფერი- მახასიათებელი გარჩეული ნიმუშისთვის (თეთრი ფერის ჯიშის გარდა), არადამახასიათებელი/ სპეციფიკური სუნის გარეშე, ობისა და ნესტის გარეშე. მავნებლებით დაზიანებისა და დაზიანების გარეშე. ხარშვის დრო არაუმეტეს 3სთ-ისა, ხარშვისას კანი არ უნდა სცილდებოდეს. დაფასოებული მოთხოვნის შესაბამისად5-50 (+/- 0.4%) კილოგრამიან ტომრებში, |
| ხახვი | სალი, სუფთა, მშრალი, მკვრივი, თხელფურცლოვანი, ღვივის გარეშე, მრგვალი ან ოვალური ფორმის, ღეროები დაჭრილი; არ უნდა იყოს ჭიანი, დამპალი (არც გარედან და არც - გულში), მექანიკური დაზიანებების მქონე (გაჭრილი, დაჟეჟილი და სხვა); არ უნდა იყოს მოყინული;პროდუქტი დაფასოებული უნდა იყოს ბადე–ტომრებში. |
| ნიორი | სალი, სუფთა, მშრალი, მკვრივი, ღვივის და ღეროს გარეშე, თხელკანიანი, მრგვალი ან ოვალური ფორმის, მსხვილი ბოლქვით და კბილებით თეთრი-მოვარდისფრო ფერის; არ უნდა იყოს ჭიანი, დამპალი (არც გარედან და არც - გულში), მექანიკური დაზიანებების მქონე (გაჭრილი, დაჟეჟილი და სხვა); არ უნდა იყოს მოყინული; პროდუქტი დაფასოებული უნდა იყოს 1-3 კგ-იან ბადე–ტომრებში ან მუყაოს ყუთებში. |
| ბულგარული წიწაკა | მწვანე ან წითელი (გარედან და გულში), სალი, სუფთა, მშრალი, საშუალოსიმკვრივის, მწიფე, გარედან თეთრი ჩანართების გარეშე; არ უნდა იყოს ჭიანი, დამპალი (არც გარედან და არც - გულში), მექანიკური დაზიანებების მქონე (გაჭრილი, დაჟეჟილი და სხვა); არ უნდა იყოს მწარე; პროდუქტი დაფასოებული უნდა იყოს ტომრებში ან ყუთებში. |
| ლიმონი | სალი, სუფთა, მწიფე, მკვრივი; არ უნდა იყოს დამჭკნარი, ჭიანი, დამპალი (არც გარედან და არც - გულში), მექანიკური დაზიანებების მქონე (გაჭრილი, დაჟეჟილი და სხვა); გემოუნდა იყოს სახეობისთვის დამახასიათებელი; |
| ვაშლი | სალი, სუფთა, მწიფე, მკვრივი, მშრალი; არ უნდა იყოს დამჭკნარი, ჭიანი, დამპალი (არც გარედან და არც - გულში), მექანიკური დაზიანებების მქონე (გაჭრილი, დაჟეჟილი და სხვა); გემოდა ფერი უნდა იყოს სახეობისთვის (ჯიშისთვის) დამახასიათებელი; |
| ხილი სეზონური | სალი, სუფთა, მწიფე, მკვრივი; არ უნდა იყოს დამჭკნარი, ჭიანი, დამპალი (არც გარედან და არც - გულში), მექანიკური დაზიანებების მქონე (გაჭრილი, დაჟეჟილი და სხვა); გემოუნდა იყოს სახეობისთვის დამახასიათებელი; |

სსიპ - ქალაქ თბილისის
N198 საჯარო სკოლა
სკოლის დირექტორი /თეონა ყაჭეიშვილი/

შპს „ბაკო“ /ივანე ნოზაძე/